

როგორც მოგეხსენებათ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ განაახლა საინფორმაციო პორტალი. განახლებული პორტალის მისამართია: http://172.17.8.125/ssareporting_v01 რომელსაც ჩანართში - "ინფორმაცია სოციალურად დაუცველთა ბაზიდან" 

დაემატა რამდენიმე ახალი ფუნქცია:

1. ინფორმაცია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან (napr.gov.ge)- სადაც ფიქსირდება პირზე რეგისტრირებული უძრავი ქონების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია (მისამართი, ფართი, მესაკუთრე, საკადასტრო კოდი და ა.შ.)

2. ინფორმაცია სატრანსპორტო საშუალების ფლობის შესახებ - სადაც ფიქსირდება პირზე ყველა რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია (სატრანსპორტო საშუალების დასახელება, გამოშვების წელი, გაფორმების თარიღი, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი).

3. ინფორმაცია საზღვრის კვეთის შესახებ - სადაც ფიქსირდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, პიროვნების ქვეყნიდან გასვლის/ქვეყანაში შემოსვლის თარიღის და საათის შესახებ.

4. ინფორმაცია შემოსავლების შესახებ - სადაც ფიქსირდება შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია პიროვნების შემოსავლების შესახებ (პერიოდი, თანხა, დამსაქმებელი და ა.შ.).

აღნიშნული ფუნქციები უნდა გამოიყენოთ მხოლოდ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული/რეგისტრაციის მაძიებელი, პირების შესახებ ინფორმაციის მოძიებისთვის, შესაბამისად **საინფორმაციო პორტალზე უფლებამოსილმა პირმა,** მხოლოდ იმ მომხმარებლებს უნდა გაუაქტიუროს ამ ინფორმაციაზე წვდომა (მომხმარებლის უფლებების ღილაკიდან), ვისაც ამ ინფორმაციის გამოყენების უფლება აქვს მინიჭებული.